ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **38-3825069131**
თარიღი: **10/03/2025**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

თქვენი 2025 წლის 05 მარტის N01/201 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე ს/კ: 02.07.01.683 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე, არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამასთან, მითითებული საკადასტრო ერთეული „ქალაქ რუსთავის მუნიციპალ იტეტის ქალ აქთმშენებლ ობითი დ ოკუმენტაციის-გენერალ ური გეგმისა დ ა განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის მიხედვით მდებარეობს **საწარმოო ზონა (იზ-1)-ში.**

დადგენილების დანართი 3-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საწარმოო ზონა (იზ-1) — სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. **ნებადართული სახეობებია:** საწარმოო ობიექტი, ღია და დახურული საწყობი, ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი. **საგამონაკლისო წესით** შეიძლება ასევე დასაშვები იყოს სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები.

განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი განისაზღვრება 400 $მ^2$-ით. ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები, შესაბამისად წარმოდგენილი მიწის ფართობი აკმაყოფილებს სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის შესაბამის მინიმალურ პარამეტრებს - ზომებს და ფართობს.

რაც შეეხება, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას, აღნიშნული ტერიტორიის სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ იგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მიწის ნაკვეთის (ს/კ: 02.07.01.683) გასხვისების პროცედურები.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი